პირს. საჩივრის განხილვისას „საბჭომ“ უნდა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის დასწრება. საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული. მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება ყველა დაინტერესებულ მხარეს. „საბჭო“ ვალდებულია განიხილოს ყველა წერილობითი საჩივარი, თუ ისინი შეიცავენ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ იმ მუხლებს, რომლებიც დაირღვა, დარღვევის სახეს და შინაარსს, პროგრამის დასახელებას, ეთერში გაშვების თარიღს, და დროს.

„საბჭო“ უფლებამოსილია უარი თქვას საჩივარის განხილვაზე იმ შემთხვევაში თუ:

- საჩივარი არ იქნება წარდგენილი საწყისი განცხადების გაკეთებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

- საწყისი განცხადება ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს ან მომჩივანი არ არის განცხადებაში ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული პირი.

-შესწორებას ან უარყოფას პირდაპირი კავშირი არ აქვს საწყის განცხადებასთან ან მისი ზომა, ფორმა და შინაარსი სცდება იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საწყის განცხადებაში მოყვანილი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორებისთვის ან უარყოფისთვის, ან თუ ხდება საწყის განცხადებაში გამოთქმული აზრის და არა ფაქტის შესწორება ან უარყოფა.

- შესწორება ან უარყოფა უსაფუძვლოდ ეხება მესამე პირს.

- მომჩივანი ვერ ასაბუთებს თავის კანონიერ ინტერესს.

5.საბჭოს კრება

- საბჭოს კრება უფლებამოსილია, თუკი მას ესწრება წევრთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 2/3.

- კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უმრავლესობით. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.

- დებულება ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან.

სს ,,ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიის“

გენერალური დირექტორი

გიორგი მგალობლიშვილი